პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი. 18 ივნისი, 1988 წელი ● № 25 (3053) ● СУББОТА, 18 ИЮНЯ 1988 г.




კარგა ხანია დაიწყო საზაფხულო საკურორტო სეზონი ჩვენი რესპუბლიკის შავიზღვისპირეთში. გაიზარდა ადგილობრივ მილიციის თანამშრომელთა საზრუნავიც. რომ სტუმრად ჩამოსულ მშრომელს სასიამოვნო მოგონებად დარჩეს აქ გატარებული შვებულება.

„ცხელი" დღეები ელის ოჩამჩირის შს რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ოპერრწმუნებულს, მილიციის მაიორ, კომუნისტ ვ. ბობუასაც. იგი 1965 წლიდან მუშაობს შს ორგანოებში. ვ. ბობუას გამოცდილება საკმაო აქვს. დაამთავრა მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტი. მუშაობდა სვანეთში, გულრიფშისა და სოხუმის შს განყოფილებებში, დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით „უმწიკვლო მუშაობისათვის".

• • •

სურათზე: ვ. ბობუა

გ. მგალობლიშვილის ფოტო.

## НА ОПЕРАТИВНОМ СОВЕЩАНИИ РУКОВОДЯЩЕГО СОСТАВА МВД ГССР

**13 ИЮНЯ** состоялось оперативное совещание руководящего состава МВД ГССР, которое провел министр внутренних дел республики генерал-лейтенант внутренней службы Ш. Горгодзе.

О состоянии оперативной обстановки в республике с 1 по 12 июня 1988 года руководящих работников министерства проинформировал начальник организационно-инспекторского отдела министерства подполковник милиции К. Буджиашвили.

Руководству УООП МВД ГССР (начальник — полковник внутренней службы Г. Бичашвили) предложено разработать и осуществить меры по поддержанию образцового общественного порядка в курортных пригородах Тбилиси, а также в период выезда студенческих строительных отрядов на III трудовой семестр. Всем службам министерства поручено осуществить необходимые подготовительные работы и установить контроль за ходом реализации плана мероприятий по обеспечению общественного порядка и безопасности в период проведения XIX Всесоюзной партийной конференции.

С информацией о состоянии дисциплины и соцзаконности среди личного состава министерства по итогам 5 месяцев текущего года на оперативном совещании выступил начальник политического отдела МВД ГССР полковник милиции А. Анкваб.

Начальникам управлений и самостоятельных отделов министерства в соответствии с курируемыми зонами, поручено обеспечить усиление влияния руководящего состава горрайорганов на положение дел в плане укрепления дисциплины и соцзаконности, предложено исключить из практики факты необоснованного наказания сотрудников.

## НАВСТРЕЧУ XIX ВСЕСОЮЗНОЙ ПАРТКОНФЕРЕНЦИИ

**ЗАКОНЧИЛАСЬ** беспрецедентная по своему накалу кампания выборов делегатов XIX Всесоюзной партийной конференции. Путевки в Кремлевский Дворец съездов получили более пяти тысяч человек, представляющих почти 20 миллионов коммунистов.

Почему разгорелись такие острые схватки за «места на конференции»? Да потому, что на ней будет обсуждаться судьбоносный для общества, назревший вопрос перестройки — о реформе политической системы. Речь пойдет о перераспределении власти, об изъятии традиционных прав у одних и передаче их другим представителям общества. По содержанию Тезисов ЦК КПСС к XIX Всесоюзной партийной конференции можно судить о серьезности намерений руководства страны в этом вопросе. Но разделение власти всегда считалось проблемой крайне болезненной. Кому-то предлагаемые Центральным Комитетом меры кажутся покушением на устои партийного аппарата, и они стремились делегировать на конференцию больше «своих людей». Кто-то, наоборот, считает, что хватит смахивать паутину с внутрипартийных проблем и надо дополнить замыслы руководства радикальными предложениями. Такие люди тоже старались собрать под знаменем конференции как можно больше своих сторонников.

И вот состав делегатов определен — что о нем можно сказать? Не прошла даром принципиальная позиция многих партийных организаций: на конференцию попала большая группа истинных сторонников перестройки. Здесь и рабочие с активной гражданской позицией, и известные своей непримиримостью к застою ученые, писатели, журналисты.

А где планка требовательности партийных организаций оказывалась ниже, там и проходили в делегаты различного рода функционеры, выдвинутые по разнарядке. Впрочем, этому способствовала не только беззубость тех или иных коммунистов. Много сумятицы, неразберихи внесла в важное дело не до конца продуманная процедура выборов делегатов.

Выборная кампания преподнесла сторонникам обновления немало полезных уроков. Но, как говорится, не сразу Москва строилась. Трудно в новом деле обойтись без неувязок. А партийная конференция для нашего поколения все-таки новое дело — последняя, XVIII проводилась почти полвека назад. Видимо, противоречивый, неоднозначный опыт подготовки к этому событию как-то отразится в будущем поправками в Уставе КПСС.

До открытия Всесоюзной партийной конференции осталось немного времени. Имеется уже и платформа для предстоящих дискуссий — Тезисы ЦК КПСС. Раньше со страниц печати, в разговорах постоянно звучал вопрос: кто поедет на конференцию? Теперь он, естественно, снят с повестки дня. И заменен не менее, а может быть, более важным: с чем, с какими помыслами придут на конференцию делегаты? Общество ждет и требует ощутимых результатов демократизации политического строя. И не учитывать этих настроений народа делегаты не могут.

**М. ПОЛТОРАНИН,**
**политический обозреватель АПН.**

## После первого раунда

• • •

**В партийных организациях системы МВД ГССР продолжается обсуждение Тезисов ЦК КПСС к XIX Всесоюзной партийной конференции. Уже состоялось 265 собраний, на которых выступило 2.335 сотрудников, высказано свыше восьмисот предложений, критических замечаний к тексту Тезисов. Сегодня мы публикуем некоторые из них.**

**Инспектор ГАИ Цхакаевского РОВД старший сержант милиции Т. Сахокия** предлагает, наряду с расширением гласности и демократии, уделить соразмерное внимание укреплению партийной, государственной и исполнительской дисциплины, усилению принципиальной требовательности.

**Начальник ОУР Гардабанского РОВД капитан милиции Е. Исакиди** для улучшения качественного состава партийных рядов считает целесообразным, чтобы кандидаты в члены КПСС рекомендовались не только коммунистами, но и трудовыми коллективами.

**Главный бухгалтер ОВО при Гагрском ГОВД Т. Лопухова** считает необходимым для сокращения материальной зависимости парторганизации от администрации, до 20 процентов партвзносов оставлять на счету парторганизации.

**Старший инструктор группы оргпартработы политотдела МВД ГССР майор милиции С. Харабадзе** отмечает, что с 1 июня сокращается использование служебных автомашин. Это острее поднимает вопрос о необходимости урегулирования порядка возмещения затрат, связанных с использованием личных автомашин для служебных нужд.

**Старший оперуполномоченный ОУР Цхалтубского ГОВД капитан милиции Р. Чоговадзе** отмечает, что техническая вооруженность ОВД значительно отстает от требований времени. Для повышения отдачи от деятельности милиции и успешного выполнения возросших задач, необходимо на деле перейти к оснащению ОВД новой техникой.

**Заместитель начальника ГУВДТ подполковник милиции В. Нателашвили** считает, что в ОВД необходимо вводить конкурсную практику отбора кандидатур на руководящие должности.

**Старший участковый инспектор Горийского ГОВД майор милиции Д. Тавелидзе** предлагает резко сократить проверки и контрольные мероприятия, проводимые вышестоящими органами в ОВД на местах. В последнее время эти проверки проводятся под видом оказания практической помощи.

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

**საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე:**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1988 წლის 5 აპრილისა — „ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ";

1988 წლის 5 აპრილისა — „საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 151-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ";

1988 წლის 5 აპრილისა — „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ";

1988 წლის 18 მაისისა — „საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 117-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**შ. ქვარაცხელია.**

**თბილისი, 1988 წლის 11 ივნისი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადრებთან მუშაობას — ძირეული გარდაქმნა

# დავხვეწოთ მუშაობის სტილი და მეთოდები

**ხელმძღვანელობს** რა XXVII ყრილობისა და იანვრის პლენუმის დებულებებით საქართველოს სატრანსპორტო შინაგან საქმეთა სამმართველოს კადრების აპარატმა განახორციელა თავის მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნისათვის გამიზნული მთელი რიგი ღონისძიებები.

საგრძნობლად გაუმჯობესდა ახალგაზრდა კადრების შესწავლისა და შს ორგანოებში სამუშაოდ მიღების პროცესი. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანების თანახმად იმ ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს, სადაც დაშვებულია კადრების თანამშრომლის საშტატო ერთეული, უფლება მიეცათ შეისწავლონ და სამუშაოდ მიიღონ ახალგაზრდა კადრები. ამ ღონისძიებამ საკმაოდ აამაღლა მათი პასუხისმგებლობის გრძნობა. უფრო საქმიანი კონტაქტები დამყარდა პარტიის რაიონულ კომიტეტთან არსებულ ახალგაზრდობის შს ორგანოებში სამუშაოს შემრჩევ კომისიებთან. მათ მიერ პრაქტიკულად ხორციელდება მისაღები კადრების სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შესწავლა, მათი პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებების გამოვლენა. ახალგაზრდების შეხვედრა-საუბარი გამოცდილ თანამშრომლებთან და ა. შ.

როგორც ვიცით, შინაგან საქმეთა ორგანოების რიგების შევსება ძირითადად ხდება პარტიული, კომკავშირული და შრომითი კოლექტივების რეკომენდაციით მოსული ახალგაზრდების ხარჯზე. მაგრამ უნდა ითქვას, რომ არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი არ ამართლებს კოლექტივის ნდობას, არ გრძნობს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც ეკისრებათ ორგანოს თანამშრომლებს, ავიწყდებათ, რომ, ვინც მართლწესრიგის საქმეს ემსახურება, თავად უნდა იყოს კრისტალურად სპეტაკი კანონის, პარტიისა და ხალხის წინაშე.

ასე მაგალითად, 1987 წელს შს ორგანოებიდან დავითხოვეთ სოხუმის აეროპორტის შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილების ახალგაზრდა თანამშრომელი ა. გოგოხია, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე თვე დაჰყო ჩვენს რიგებში. მის დათხოვნას საფუძვლად დაედო პირველდაწყებით მომზადების კურსებზე დისციპლინის უხეში დარღვევა. აღნიშნული ფაქტი ეცნობა შრომით კოლექტივს, რომლის რეკომენდაციითაც ა. გოგოხია მილიციაში გაიგზავნა სამუშაოდ.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობის სრულყოფა პირდაპირ დაკავშირებულია თითოეული თანამშრომლის პროფესიონალურ მომზადებაზე.

1987 წელს საქართველოს სატრანსპორტო შს სამმართველოში განაწილებით მოვიდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლის 8 კურსდამთავრებული, რომლებიც ჩვენივე რეკომენდაციით იყვნენ გაგზავნილი აღნიშნულ სასწავლებლებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახაზო ქვედანაყოფის ზოგიერთი ხელმძღვანელი არ გვიწევს სათანადო დახმარებას. არის შემთხვევები, როდესაც უარს აცხადებენ იმ ახალგაზრდების მიღებაზე, რომლებიც მათივე რეკომენდაციით იყვნენ ჩარიცხულნი სასწავლო დაწესებულებებში. ხდება ისეც, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა თანამშრომელი გვეკარგება მხედველობის არედან, მათთან ყოველთვის ვერ ვატარებთ საჭირო სამუშაოს. ყოველივე გამოწვეულია ზოგიერთი დამრიგებლის დაკისრებული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით და რა თქმა უნდა ჩვენი საკადრო აპარატის ყურადღების მოდუნებით. უყურადღებობის შედეგი იყო ის, რომ მილიციის მუშაკისთვის შეუფერებელი საქციელისათვის შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დავითხოვეთ თბილისის შს სახაზო განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ოპერრწმუნებული, მილიციის ლეიტენანტი მ. ლომიძე.

ახალგაზრდა თანამშრომელთა სწავლებისა და აღზრდის, საქმისადმი კეთილსინდისიერი, პატრიოტული გრძნობის გაღრმავების საქმეში დიდად შეგვიწყო ხელი ისეთი პრაქტიკული ღონისძიებების დამკვიდრებამ, როგორიცაა ახალგაზრდა თანამშრომელთა ანგარიში თავისი შრომითი კოლექტივის, ძველი სამსახურის ამხანაგებისა და ხელმძღვანელების წინაშე. 1987 წელს მოეწყო 17 ასეთი შეხვედრა.

სამწუხაროდ ჩვენი საქმიანობა ახალგაზრდა კადრების სწავლებისა და აღზრდის საქმეში სრულად არ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს, გვაქვს ნაკლოვანებები. ყოველთვის ვერ ვუზრუნველყოფთ მათ დროულ დანიშვნას შესაფერის თანამდებობაზე და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ვერ ვუქმნით შესაფერის საყოფაცხოვრებო პირობებს.

იანვრის პლენუმი კადრების აპარატებს ავალებს შეუპოვრად იბრძოლონ მუშაობის მოძველებული სტილისა და მეთოდების ძირეული გარდაქმნისათვის, რაც ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის ძირითადი ამოცანაა.

**ჯ. გორგიაშვილი,**
**საქართველოს სატრანსპორტო შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე კადრების დარგში, მილიციის მაიორი.**

# სარაიონო კონფერენციაზე

**ონში** ჩატარდა ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების მე-14 სარაიონო კონფერენცია.

კონფერენციაზე ნსს საბჭოს თავმჯდომარემ ა. სხიერელმა ილაპარაკა საბჭოს მიერ 1986-87 და 1988 წლების პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ. ითქვა, რომ საანგარიშო პერიოდში მომხდარი ხანძრის შემთხვევით გამოწვეული ზარალი 28700 მანეთია, რაც საგრძნობლად ნაკლებია წინა წლების ამავე პერიოდის ზარალთან, მაგრამ ეს როდი გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას. საზოგადოებას, რომელიც აერთიანებს 64 პირველად ორგანიზაციას (4100 წევრი) მეტი მოეთხოვება. მოწინავე პირველად ორგანიზაციათა შორის არიან ონის სამკერვალო ფაბრიკის (თავმჯდომარე ო. რაზმაძე), ჩორდის სამშენებლო უბნის (თავმჯდომარე დ. თაგვაძე), ადგილობრივი საწარმოო კომბინატის (თავმჯდომარე ქ. ლობჟანიძე), ონის № 2 საშუალო სკოლის (თავმჯდომარე გ. კერესელიძე) ორგანიზაციები.

გადაუდებელ მოსაგვარებელ საკითხებზე ილაპარაკა ონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის უფროსმა, შ/ს ლეიტენანტმა გ. რთველაძემ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ელექტროგაყვანილობის მოწესრიგების საკითხზე, იმაზე რომ ხშირად საწარმოო დაწესებულებებში იკარგება ცეცხლმაქრები, ადგილი აქვს მათ არადანიშნულებისამებრ გამოყენებას.

სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამავე კომისიის თავმჯდომარე ხ. დუშუაშვილი. კონფერენციამ ნსს საბჭოს განვლილი მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად.

ნსს საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ა. სხიერელი.

კონფერენციას ესწრებოდნენ და მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქ. კპ ონის რაიკომის ინსტრუქტორი ლ. რაზმაძე, სახალხო დეპუტატების ონის რაისაბჭოს აღმასკომის მდივანი თ. ბურდილაძე.

**ნ. დუშუაშვილი,**
**ომისა და შრომის ვეტერანი, ნსს რაისაბჭოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე.**

ВЕТЕРАНЫ РЯДОМ С НАМИ

**ЧАСТО** бывает в одной из пожарных частей г. Цхинвали ветеран пожарной охраны Серафим Чибиров. В свое время он работал начальником инспекции госпожнадзора Цхинвальского ГОВД, председателем добровольного пожарного общества Юго-Осетии. Щедро делится он своим опытом и воспоминаниями с молодежью части. Рассказывает о том, как пожарные прежних лет охраняли государственное и личное имущество от пожаров, какое большое значение имеет профилактика в пожарном деле, сколько жизней было спасено благодаря оперативности и сноровке людей огненной профессии.

Фото А. Гусова.



# В условиях повышенных требований



## СОТРУДНИК ОРГАНОВ ВНУТРЕННИХ ДЕЛ НЕ ДОЛЖЕН СТАНОВИТЬСЯ ВИНОВНИКОМ ДОРОЖНО-ТРАНСПОРТНОГО ПРОИСШЕСТВИЯ

**КАЗАЛОСЬ** бы, эта истина бесспорна, однако действительность вынуждает Инспекцию по личному составу Управления кадров МВД Грузинской ССР в числе других задач постоянно уделять самое пристальное внимание контролю за выполнением сотрудниками органов внутренних дел республики установленного порядка эксплуатации служебных и личных транспортных средств, за соблюдением ими правил дорожного движения. Это внимание обусловлено все еще не сокращающимся числом чрезвычайных происшествий на дорогах, допущенных по вине наших сотрудников.

Несмотря на регулярно осуществляемые совместно с представителями госавтоинспекции, хозяйственного и медицинского отделов министерства предупредительно-профилактические меры, за 4 месяца 1988 г., по сравнению с аналогичным периодом прошлого года, был допущен рост числа нарушений этой категории на 3 единицы и всего они составили 18 единиц. В этих дорожно-транспортных происшествиях погибло 2 сотрудника и 3 гражданских лица, получили телесные повреждения различных степеней 10 сотрудников и 18 граждан.

Виновниками этих происшествий явились представители аппаратов следующих служб: УИТУ — 6 фактов, УВО и УООП — по 4 факта, УГАИ (!) — 2, УБХСС и ведомственная милиция — по одному факту. 11 из этих происшествий были допущены начальствующим (!) составом, 7 — рядовыми сотрудниками.

И тут вновь приходится говорить о недопустимости управления автотранспортом в состоянии опьянения! Наиболее тяжкими последствиями сопровождались происшествия, совершенные нетрезвыми водителями. Это, в частности, относится к майору милиции М. Пурцхванидзе — бывшему дежурному подразделения УВД Кутаисского горисполкома и бывшему милиционеру ОВО при Горийском ГОВД Г. Асанидзе. Только в совершенных ими автоавариях в январе и апреле 1988 г. погибли 2 гражданина, а 8 человек получили телесные повреждения. М. Пурцхванидзе и Г. Асанидзе уволены из органов внутренних дел и привлечены к уголовной ответственности.

Обращает на себя внимание, что в ходе расследования фактов подобных происшествий, допущенных сотрудниками ОВД, особенно в состоянии алкогольного опьянения, мы всегда становимся свидетелями крайне отрицательного резонанса, который эти происшествия вызывают среди общественности республики. Стоит ли говорить, какой серьезный ущерб наносят подобные факты авторитету органов внутренних дел.

Основными причинами совершения сотрудниками дорожно - транспортных происшествий продолжают оставаться, с одной стороны, их личная недисциплинированность, а с другой—отсутствие систематического и действенного контроля со стороны руководителей органов и подразделений за поведением своих подчиненных на службе и в свободное от работы время. Некоторые руководители ГОРОВД без должной ответственности относятся к вопросам целенаправленного контроля за соблюдением подчиненными сотрудниками правил пользования автотранспортом, не предъявляют повышенного спроса к коммунистам и комсомольцам, не осуществляют практических мер, направленных на предупреждение нарушений и дорожно-транспортных происшествий. Факты подобных нарушений не делаются предметом строгого, принципиального обсуждения в коллективах. Имелись факты формального реагирования на эти происшествия.

С учетом злободневности и актуальности данного вопроса, в мае 1988 г. на очередном оперативном совещании Управления кадров министерства было обсуждено состояние борьбы с дорожно-транспортными происшествиями, допускаемыми сотрудниками органов. В соответствии с задачами, поставленными руководством Управления кадров перед нами, инспекция по личному составу намерена еще более активизировать профилактические меры по выявлению сотрудников, нарушающих правила пользования автотранспортом и ужесточить ответственность за них. Совместно с сотрудниками заинтересованных служб не реже одного раза в неделю будут проводиться комплексные рейды по выявлению нарушителей. В указанных рейдах также будут участвовать и представители редакции газеты «Боевой страж». Помимо непосредственных виновников, в соответствии с указанием руководства, к строгой ответственности будут привлекаться их прямые начальники, не обеспечившие профилактических мер, исключающих эти опасные правонарушения:

В целях создания вокруг нарушителей правил безопасности дорожного движения обстановки нетерпимости и всеобщего осуждения, материалы об этих фактах и мерах реагирования на них будут регулярно публиковаться на страницах нашей газеты.

Правонарушениям на дорогах, так дорого обходящимся всему нашему обществу, должен быть поставлен надежный заслон. И основную роль в этом, прежде всего, должны сыграть сотрудники органов внутренних дел.

**З. АМИЛАХВАРИ,**
**майор милиции, начальник инспекции по личному составу УК МВД ГССР.**

**ОТ РЕДАКЦИИ. Данный материал уже был готов к печати, когда был зарегистрирован еще один факт совершения сотрудником ОВД республики дорожно - транспортного происшествия в нетрезвом состоянии. 29 мая старший водитель подразделения пожарной охраны г. Гори рядовой внутренней службы И. Капанадзе, в свободное от работы время управляя собственной автомашиной, совершил столкновение с движущейся впереди автомашиной, которая, в свою очередь, выехав на противоположную полосу движения, столкнулась со встречным транспортом, а затем совершил наезд на трех граждан, которые с телесными повреждениями доставлены в горбольницу. В момент совершения ДТП И. Капанадзе находился в нетрезвом состоянии, в настоящее время он уволен из органов внутренних дел. Этот случай должен послужить еще одним серьезным предупреждением всем любителям управлять автотранспортом в нетрезвом состоянии, ставящим под угрозу как свою жизнь, так и здоровье и жизнь окружающих.**

დღის წესრიგშია: აქტუალური საკითხი

# რა მოხდა კოოპერატივ „მერცხალში“?

მაშ ასე, დადგა დრო თამამად ითქვას — დასაწყისი ეტაპისათვის კოოპერატივებმა რესპუბლიკაში საკმაოდ მოიკიდეს ფეხი. დადგა დრო გამრჯე, შემოქმედი, გერგილიანი კაცისა, ვისაც შეუძლია სასარგებლო საქმე აკეთოს თავისთავისათვისაც და საზოგადოებისთვისაც, შეეხიდოს სახელმწიფოს ეკონომიკის წინსვლაში.

დადგა იმის დროც, მკაცრი კონტროლი დავუწესოთ მათ საქმიანობას. სახელმწიფო კანონი კოოპერატივების შესახებ უკვე ძალაშია და მისი დარღვევა არავის ეპატიება.

ცუდია, ძალზე ცუდია, როდესაც საქმის მცოდნე, გერგილიანი კაცი მონდომებას მხოლოდ საკუთარი ჯიბის სისქეს მოახმარს. „არავისთვის არ ვარგა ის, ვინც მხოლოდ თავისთვის ვარგა“ — უთქვამს დიდ ფრანგ მოაზროვნეს ვოლტერს.

სამწუხაროდ, ჩვენში ასეთებიც აღმოჩნდნენ, ვინც ისარგებლეს სახელმწიფოს ნდობით და იმის მაგივრად ორმხრივად სასარგებლო საქმე ეკეთებინათ, ბოროტმოქმედების, უკანონობის მრუდე გზას დაადგნენ.

ამის მაგალითები საკმაოდაა საქართველოს სსრ შს სამინისტროს სოციალისტური საკუთრების სპეკულაციისა და დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მასალებში, უფრო კონკრეტულად — სამმართველოს ახლადჩამოყალიბებულ სპეციალურ ოპერჯგუფში, სადაც ხუთი თანამშრომელია გაერთიანებული: მილიციის პოდპოლკოვნიკი ი. ენუქიძე (ჯგუფის უფროსი), მილიციის მაიორი ი. ბრეგაძე, მილიციის კაპიტნები: ს. გურგენიძე და ჯ. ლონლაძე, უფროსი ლეიტენანტი ზ. აფშიავა.

დღეს, მოკლედ შევჩერდებით ქ. რუსთავში არსებულ კოოპერატივ „მერცხალში“ მომხდარ ფაქტზე.

აქ გამოვლენილი დარღვევები დასტურია იმისა, თუ რაოდენ რთული, საფუძვლიანი მუშაობის გაწევა მოუხდათ ჯგუფის წევრებს მათ გამოსააშკარავებლად.

...სამმართველოში სიგნალი მოვიდა, კოოპერატივ „მერცხალში“ თავმჯდომარემ და რიგმა პირებმა მსხვილი თანხა დაიტაცესო...

შემოწმებამ დანაშაულებრივი ქმედებები გამოავლინა. საქმე რუსთავის პროკურატურას გადაეცა.

რა მოხდა კოოპერატივ „მერცხალში“? მივყვეთ იმ მასალების მსვლელობას, რაც გამოვლინდა:

კოოპერატივიცაა და კოოპერატივიც — „მერცხალი“ არც ხელმარჯვე დიასახლისის ტკბილეულობით იყო განთქმული და არც ოსტატურად შესრულებული (გემოვნებიანი?) ბიჟუტერიით. „მერცხალი“ მათთან შედარებით უფრო არწივს თუ შეედრებოდა, საქმიანობის ფართო მასშტაბით და სამწუხაროდ, როგორც გამოირკვა, მტაცებლური ხასიათითაც.

კოოპერატივი 1987 წლის პირველ ივლისს დაარსდა. სულ მასში 55 კაცი გაერთიანდა. კოოპერატივი ლითონკონსტრუქციების მშენებლობით იყო დასაქმებული. საწარმოო გაერთიანება „აზოტიდან“ ღებულობდნენ ჩამოწერილ ლითონკონსტრუქციებს (მილებს, ლითონს, ხე-ტყის მასალებსაც) და სხვადასხვა კოლმეურნეობებში და მეურნეობებში იყენებდნენ მათ მშენებლობისთვის ხელშეკრულების საფუძველზე. კოოპერატივს გამოცდილი თავმჯდომარე ჰყავდა — „აზოტის“ თანამშრომელი; ამ საქმის სპეციალისტი გ. ცხვედაძე. თავმჯდომარემ ათისთავი ა. ლეკაშვილი, მოლარე ნ. შუბითიძეც გვერდში ამოიყენა. კოოპერატივმა ქ. რუსთავის ბანკში თავის ანგარიში გახსნა და სასარგებლო საქმის, კანონიერი ფულის საკეთებლად ყველა კარი გაიღო...

1987 წლის ივლისშივე „მერცხალმა“ ხელშეკრულება დადო გორის რაიონის სოფელ ტყვიავის კოლმეურნეობასთან, მეცხოველეობის მეურნეობის ნაგებობებისათვის 431,43 ათასი მანეთის ღირებულების კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად.

ოპერჯგუფის მიერ მოწვეულმა სპეციალისტმა აწარმოა საკონტროლო აღწერა და დაადგინა, რომ ეს თანხა 6 099 მანეთით იყო ხელოვნურად გაზრდილი. კაპრემონტზე 14 მუშა იყო დასაქმებული. მათ 10400 მანეთი გამოეწერათ. ფაქტიურად კი გასცეს 5000 მანეთი, რაც მოწმეებმაც დაადასტურეს. დანარჩენი თანხა ცხვედაძემ და ლეკაშვილმა მიითვისეს. კოოპერატივის სალაროში 2782 მანეთის დანაკლისიც გამოვლინდა.

ამასთანავე, ტყვიავის კოლმეურნეობამ არაკანონიერად გადასცა კოოპერატივს 2522 მანეთის ღირებულების ხილი (ვაშლი და მსხალი). „მერცხალმა“ იმის გარდა, რომ უფლებებს გადააჭარბა, ბანკშიდაც კი არ გადაურიცხა ფული ტყვიაველებს. შემდგომში დადგინდა ისიც რომ ცხვედაძემ „მკვდარი სულის“ ცნობილი ოპერაციის გამოყენებით მიითვისა 4874 მანეთი. მან არც „აზოტს“ დააკლო ხელი — დაუმალა საქონელბრუნვა, გადასახადი პროცენტის შემცირების მიზნით დოკუმენტაციაში არ უჩვენა გატანილი მასალების რაოდენობა და ამგვარი მაქინაციით 5100 მანეთი დაიტაცა.

1987 წელს „მერცხალმა“ რუსთავის ბანკისაგან ისესხა 42435 მანეთი, რომელიც ა. წ. მაისში უნდა დაეფარა — ვალი, ვალად დარჩა. გამოტანილ თანხაზე არავითარი დოკუმენტაცია არ შექმნილა და როგორც იტყვიან ფული „აორთქლდა“. გამოვლინდა მთელი რიგი დარღვევებიც.

ასე რომ, რუსთავის პროკურატურას კვლავ ბევრი მასალების შესწავლა მოუწევს, ვიდრე ბოლომდე გაირკვევა რა მოხდა კოოპერატივ „მერცხალში“. მტყუანსა და მართალსაც გაარკვევენ....

და საერთოდ, არსებული კოოპერატივების საქმიანობაში არის საკმაოდ ნეგატიური ჩრდილები. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ ცხადყო ეს და ისიც თუ რაოდენ საჭიროა კონტროლი კოოპერატივების შექმნის პირველ, ურთულეს და უმნიშვნელოვანეს ეტაპზე.

ვ. ნადირაძე

## ТОЛЬКО ФАКТЫ

◆ 7 июня сотрудниками Зугдидского ГОВД у себя дома задержан А. Г., ранее неоднократно судимый, неработающий, у которого изъято 400 гр. кокнара, сырье для изготовления наркотиков и шприц.

◆ 10 июня сотрудниками УБХСС МВД Грузинской ССР совместно с сотрудниками Зестафонского РОВД уличена домохозяйка, жительница г. Зестафони О. И., которая продала трем гражданам разные импортные промтовары общей стоимостью 436 рублей за 1.460 рублей. На квартире О. И., в специально оборудованной комнате для продажи товаров по спекулятивной цене, обнаружены и изъяты дефицитные товары 112 наименований на общую сумму 10.000 рублей, золотые изделия и драгоценности на общую сумму 3.500 рублей, монета царской чеканки 15-рублевого достоинства, а также 2.353 рубля.

◆ 14 июня сотрудниками Батумского ГОВД задержан А. Т., тренер-методист Аджарского областного ДОСААФ, у которого изъято 25 гр. гашиша.



სიღნაღის შს რაიგანყოფილების უბნის უფროსი ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი, კომუნისტი ალექსანდრე ონანიშვილი 1977 წლიდან მუშაობს შინაგან საქმეთა ორგანოებში. დაამთავრა თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი. სიღნაღის კომკავშირის რაიკომის საგზურით მოვიდა სამუშაოდ მილიციაში. არასაუწყებო დაცვის მოწინავე თანამშრომელი მალე დააწინაურეს ერთ-ერთი ქვედანაყოფის მეთაურად. ა. ონანიშვილმა დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტი.

გ. მგალობლიშვილის ფოტო.

ЗАБОТЫ НАСТАВНИКОВ

# Воспитывая молодежь

**НАСТАВНИЧЕСТВО** является одним из важнейших факторов идейно-воспитательной работы с молодыми сотрудниками правоохранительных органов. В Сухумском РОВД эту работу возглавляет старший инспектор инспекции Госпожнадзора капитан в/с А. Колочев, являющийся председателем Совета наставников. Уже не первый год идет в РОВД соревнование за почетное звание «Лучший наставник», о его результатах регулярно информирует личный состав фотогазета, победители поощряются приказом начальника РОВД. В текущем году лучшими признаны капитаны милиции Б. Жвания, М. Чагунава, И. Зухба.

Ежегодно в РОВД приходят несколько молодых сотрудников, и к каждому из них прикрепляется наставник — старший товарищ, надежный помощник в воспитании и учебе. Конечно, в таком деле не может быть готовых инструкций — сколько людей, столько характеров. Лучшие наставники райотдела считают, что их работа во многом облегчена тесной связью с семьями подопечных. Они часто бывают дома у молодых сотрудников, поддерживают постоянный контакт с их родителями. Подобные совместные усилия приносят хорошие плоды. Пример тому — успешное преодоление трудностей первого периода службы сотрудниками Г. Кандария, Г. Алания, которые стали недавно кандидатами в члены КПСС, отличная служба коммунистов Е. Минасяна, Р. Джоджуа, С. Пичкария и других по охране общественного порядка в здравницах района. Индивидуальная работа с каждым молодым сотрудником способствовала тому, что в текущем году ни одним работником Эшерского отделения милиции не допущено нарушений дисциплины и социалистической законности.

Руководство РОВД, совместно с Советом наставников, в работе которого постоянно принимают участие начальник райотдела подполковник милиции В. Аршба, заместитель по политчасти, секретари партийной и комсомольской организации, тщательно изучает все кандидатуры на работу в милицию Сухумского района. В период трехмесячного изучения кандидата за ним закрепляется наставник, что позволяет успешно готовить достойную смену ветеранам.

Два года назад в районе созданы комсомольско-молодежные посты, между которыми организовано социалистическое соревнование за право быть награжденными переходящим вымпелом имени В. Тужба — комсомольца РОВД, погибшего при исполнении служебного долга.

Совет наставников Сухумского РОВД работает согласно строго намеченному плану — каждый наставник имеет дневник, разработанный политическим отделом МВД Абхазской АССР. Отчеты наставников регулярно заслушиваются на партбюро и партийных собраниях. Постоянными стали в райотделе совещания, семинары и лекции, посвященные актуальным вопросам педагогики, нравственного и трудового воспитания молодежи.

Работа наставников приносит заметные результаты. Об этом свидетельствуют многие факты. Как в 1987 году, так и в текущем достигнуто сокращение нарушений дисциплины личным составом, не допущено нарушений законности и дисциплины со стороны членов ВЛКСМ. Улучшение дисциплины положительно повлияло на оперативную обстановку в районе, которая характеризуется сокращением количества преступлений при их высокой раскрываемости.

Заинтересовать службой, помочь быстрее освоить профессию, добиться того, чтобы молодой сотрудник трудился с полной отдачей — именно в этом и состоит главная задача наставника.

**Д. ПАЧУЛИЯ,**
**майор милиции, заместитель начальника Сухумского РОВД по политчасти.**

გვატყობინებენ ჩვენი კორესპონდენტები

# სტიქიას სძლიეს

**ცნობილია,** რომ ხანძართან ბრძოლა უფრო ძნელია ვიდრე მისი პროფილაქტიკა, თავიდან აცილება. ყველა სახის ხანძარი ტოვებს თავის კვალს — უმეტესწილად იგი ზარალით მთავრდება, ზოგჯერ ადამიანის მსხვერპლითაც კი.

ყოველივე ამაზე ფიქრით ალბათ თავი არ შეუწუხებიათ ფოთის რკინიგზის მუშაკებს. ამ ერთი თვის წინათ აქ შეცდომით შემოიყვანეს მაკულატურით დატვირთული ვაგონი, რომელიც ხან ერთ და ხან მეორე ლიანდაგზე გადაჰყავდათ. ბოლოს სხვა ვაგონებთან ერთად ტაბიძის ქუჩაზე, რკინიგზის ლიანდაგზე დააყენეს. ვინაიდან ვაგონში ძვირადღირებული საქონელი არ ეწყო, არც მისი კარები იყო საიმედოდ დაცული. ასე თუ ისე მაკულატურით დატვირთული ვაგონი უპატრონოდ იდგა.

...საღამოს ათ საათზე, ვაგონში მოთავსებულ მაკულატურას ცეცხლი გაუჩნდა. მოსალოდნელი იყო ხანძრის გავრცელება სხვა ვაგონებზე, უფრო მეტიც, აფეთქების აშკარა საშიშროება შეიქმნა — გვერდით, მეორე ლიანდაგზე იდგა ბენზინით სავსე ცისტერნა. რკინიგზელებმა მოახერხეს ბენზინით სავსე ცისტერნის დროული გადაყვანა და ასევე ცეცხლმოდებული ვაგონის მოშორებით დაყენება.

ვაგონში ცეცხლი ბობოქრობდა, ამას ძლიერი ქარიც უწყობდა ხელს, რომლის მეშვეობითაც მოსალოდნელი იყო ცეცხლმოდებული მაკულატურა მოხვედრილიყო სხვა, მიმდებარე ობიექტებზე. ამასთან ვაგონში მაღალ ტემპერატურასთან ერთად იყო ძლიერი დაკვამლიანებაც. ადვილი როდი იყო სტიქიასთან შერკინება, მაგრამ ფოთელ მეხანძრეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ დაიშურეს ძალღონე, გაბედულად, საზრიანად მოქმედებდა ყველა რგოლი და ხანძარიც ლიკვიდირებულ იქნა. ხანძრის ქრობაში მონაწილეობდნენ და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეხანძრეებმა: თ. კიწურაშვილმა, ვ. კაპანაძემ, ა. დოლუენკომ, ა. თოდუამ, რ. მიქაძემ, მ. ხურცილავამ, ი. ურუშაძემ, ბ. ნაჭყებიამ, ვ. გვიჩიამ. მძღოლებმა: რ. ჭანტურიამ, ჟ. წიქარაშვილმა, ვ. კავიცკიმ, დ. აფაქელავამ, ი. გორლაჩიმ, ინსპექტორმა, შ/ს ლეიტენანტმა გ. გოგოლმა. კარგი ურთიერთმოქმედება და მომზადება გამოავლინეს ყარაულებმა, რომლებსაც სათავეში უდგანან გ. ჭრიკიშვილი და მ. ლემონჯავა. სტიქიასთან ბრძოლაში მონაწილეობდა უბნის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ჯ. ბასილაია. ხანძრის ქრობას უნარიანად ხელმძღვანელობდა 29-ე — დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი შ/ს კაპიტანი დ. ხოშტარია.

ხანძრის სრული ლიკვიდაცია დამთავრდა ღამის 4 საათზე. იქვე გაუკეთდა ანალიზი გაწეულ მუშაობას. ითქვა იმ შეცდომებზეც, რომელსაც ადგილი ჰქონდა. აღინიშნა, რომ უფრო ეფექტიანი იქნებოდა ვაგონში მაღალჭერადი ქაფის ლულები დროულად მიგვეწოდებინა. ასე რომ მეხანძრეებმა ჯეროვანი შეფასება მისცეს თავის მოქმედებას და ვფიქრობთ მომავალში აღარ დაუშვებენ მსგავს შეცდომებს. ჩვენ გვაინტერესებს თუ როგორ აღიქვამენ ამ შემთხვევას რკინიგზელები. გააკეთებენ კი სწორ დასკვნას? ვეჭვობთ, რადგან ხანძრის ქრობის პროცესში, რომელმაც ოთხ საათზე მეტს გასტანა, რკინიგზის ხელმძღვანელობიდან არავინ გამოჩენილა.

ლ. ჟოჟუა

19 ივნისი მედიცინის მუშაკთა დღეა

# ვიზიტი პაციენტებთან გამოძახების გარეშე

კვერცხისგულისფერმა „რეანომობილმა“ და სამედიცინო აპარატურით აღჭურვილმა ავტომობილმა ხოლოლაკის დაღმართები ჩაათავეს და გაივაკეს...

14 ივნისის ცხელი დილა იდგა. თბილისის ერთ-ერთ საწარმოოკვლევით ინსტიტუტში ჩვეულებრივი საქმიანი ფუსფუსი ისმოდა. „რეანომობილი“ საწარმოს ეზოში შეჩერდა და საამქტო დარბაზი (რომელიც უმალ გადაკეთდა სამედიცინო „კაბინეტებად“) პოლიკლინიკისათვის დამახასიათებელმა ფუსფუსმა აახმაურა:

— რას უჩივით?... აღრიცხვაზე იმყოფებით თერაპევტთან?... გადაიღეთ კარდიოგრამა და მაჩვენეთ... მხედველობა როგორი გაქვთ?

უცხოური კარდიოლოგიური აპარატის ეკრანზე წყვეტილი რიტმული ზუზუნი წამიერად დაირღვა — აუცილებლად გჭირდებათ პროფილაქტიკური მკურნალობა გულზე — ეუბნება პაციენტს (საწარმოს თანამშრომელ გოგონას) ექიმი, რესპუბლიკის შს სამინისტროს სამედიცინო ნაწილის ექიმი-თერაპევტი რ. უთურგაული. მეღდა მ. გოგია აპარატთან მორიგ პაციენტს იწვევს. რეგისტრატორი მ. ტატანაშვილი რიგ-რიგობით ავსებს ანკეტებსა და ნევროპათოლოგი ც. თარგმაძე, ქირურგი ი. ჩუბინიძე, ლაბორანტი ლ. ხუბალავა და ოკულისტი გ. სორდია გულმოდგინედ



ჩაჰკირკიტებენ პაციენტების ხელებს, დაზიანებულ ადგილებს და თვალებს.

სამედიცინო ნაწილის ექიმთა საწარმოში ვიზიტამდე პოლიკლინიკაში ნაწილის უფროსს გ. აბესაძეს შევხვდი:

— არა, იმ საწარმოში უეცრად არავის გაჭირვებია. უბრალოდ, გვსურს ჩვენც კეთილი საქმე გავუწიოთ მათ. ისინი მედნაწილის პოლიკლინიკისა და ჰოსპიტალისათვის უძვირფასესი სამედიცინო აპარატურის შეძენაში დაგვეხმარნენ, ჩვენი მხრიდან მეტს რას შევთავაზებთ, თუ არა სამედიცინო დახმარებას. ადგილზევე ჩავუტარებთ ამბულატორიულ გამოკვლევას, თუ საჭირო გახდა ჰოსპიტალშიც მოვათავსებთ.

— ვეცდებით მომავალშიც დაგეხმაროთ. ურთიერთდახმარება კარგი საქმეა. იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენმა თანამშრომლებმა დისპანსერიზაცია თქვენთან გაიარეს. მჯერა, ტრადიცია შემდგომშიც გაგრძელდება — ამას, უკვე საწარმოოს დირექტორის პირველი მოადგილე მ. ბროძელი მეუბნება თავის კაბინეტში.

„საამქტო-სამედიცინო“ დარბაზში კი კვლავ საქმიანი ფუსფუსი ბატონობს. მალე მოსულ სამედიცინო პერსონალს სამედიცინო ნაწილის ჰოსპიტალის უფროსი გ. მამფორია უერთდება ორი ექიმით. — გასინჯვის მსურველნი უფრო მეტნი აღმოჩნდნენ ვიდრე ველოდით, ყველა მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძვლიანად გამოკვლევას, როგორც ექიმებს ევალებათ, ვერ მოვასწრებთ. ამიტომ ხვალაც და ზეგაც ვესტუმრებით აქაურობას. ხარვეზებსაც გავითვალისწინებთ — პირობას დებს იგი და ეჭვი არაა, რომ ექიმებით დატვირთული ლამაზი კვერცხისგულისფერი „რეანომობილი“ მეორე დღესაც და მომავალშიც დაადგება საწარმოოსაკენ მიმავალ გზას.

ვ. ნადირაძე.

## КАЛЕЙДОСКОП

### СТРЕЛЯЛИ ШЕСТЕРО

БЫЛО около двух часов ночи. В Нью-Йорке автомашина марки «Шевроле», мчавшаяся по Первой авеню, проехала на красный свет светофора. Позади остались 118-я и 119-я стрит. За темнозеленым «Шевроле» устремился полицейский патруль. Началась погоня. После тридцатиминутной гонки нервы у нью-йоркских стражей порядка не выдержали и они открыли огонь. Стреляли шестеро полицейских.

За рулем «Шевроле» оказалась 32-летняя жительница соседнего штата Нью-Джерси Лидия Ферраро. Не приходя в сознание, она скончалась от ран в одном из госпиталей Восточного Гарлема.

Потом полицейские станут говорить, что женщина пыталась стрелять в них, что они действовали исключительно в целях самообороны. Но все это, как выяснилось, им только... показалось. В машине убитой не обнаружено никакого оружия.

СПОРТ СПОРТ СПОРТ СПОРТ

# СОРЕВНУЮТСЯ ПОЖАРНЫЕ

ДВА ДНЯ продолжались увлекательные соревнования по пожарно-прикладному спорту на спортивных базах Учебного центра Управления пожарной охраны МВД Грузинской ССР и пожарной части завода им. Димитрова.

На чемпионате тбилисского гарнизона среди военизированных пожарных частей выступили свыше 150 бойцов огненного фронта. На штурмовке звание победителя завоевал рядовой С. Арутюнян (СВПЧ-3), второе место занял его товарищ по команде рядовой М. Микеладзе, и на третьем—представитель пожарной части завода им. Димитрова лейтенант в/с Ю. Орлов.

На выдвижной лестнице лучшими были бойцы СВПЧ-3 Микеладзе - Арутюнян, второе место также заняли их товарищи по команде рядовой Ю. Сапельников и начальник караула старший лейтенант в/с М. Дагданов; а замкнули тройку призеров кутансцы—курсанты Учебного центра рядовые внутренней службы Н. Хидашели и А. Мамисейшвили. На 100-метровой полосе лучший результат показал Ю. Орлов (СВПЧ-15), второе место занял С. Арутюнян и третье Н. Хидашели.

В боевом развертывании лучшим было отделение пожарных района им. 26 комиссаров, второе место у курсантов Учебного центра и третье место заняли бойцы завода им. Димитрова.

В общекомандном зачете победителем стал дружный коллектив пожарных района им. 26 комиссаров (начальник — подполковник внутренней службы В. Тетриашвили), второе место у курсантов Учебного центра, третье — у пожарных завода им. Димитрова. На оперативном совещании в ОПО УВД Тбилгорисполкома главный судья соревнований подполковник внутренней службы Д. Яманидзе подвел итоги, а начальник отдела пожарной охраны УВД Тбилгорисполкома подполковник внутренней службы Л. Хоргуашвили вручил награды и грамоты победителям и призерам первенства.

Сейчас сборная команда столицы республики, составленная из призеров этих соревнований, готовится принять участие в чемпионате Грузсовета «Динамо», который состоится в начале июля в городе Кутаиси.

А. МАЛАЯНЦ,
старший лейтенант внутренней службы.



# კეთილი საქმე

შეფობა — ასე ეწოდება იმ საქველმოქმედო, კეთილ საქმეს, რომელზედაც ხშირად გვიწევს ჩვენს გაზეთში საუბარი. ეს ორი ფოტოც სწორედ მორიგი ასეთი შეხვედრების დროსაა გადაღებული.

შინაგან საქმეთა ორჯონიკიძის რაგანყოფილების პირად შემადგენლობას შეფობა აქვს აღებული და მშობლიური მზრუნველობის ხელს არ აკლებს დაბა წყნეთის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, მორიგი საშეფო შეხვედრა მოეწყო წყნეთში. განყოფილების ხელმძღვანელობა სამახსოვრო საჩუქრებით და სათამაშოებით ხელდამშვენებული ეწვია ბავშვთა სახლს. ამ დღეს ორჯონიკიძის რაიგანყოფილების თანამშრომლებმა ერთი დღის ხელფასი ბავშვთა სახლის ფონდში გადარიცხეს.

კეთილ საქმეში არც ლანჩხუთის შს რაიგანყოფილების თანამშრომლებს მიუძღვით ნაკლები წვლილი. ის დღეც, რომელზედაც მეორე ფოტო მოგვითხრობს, ბავშვებს ეკუთვნოდა, ჩვეული სიხარულით და მოუთმენლობით ელოდნენ ლანჩხუთის არასრული საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები შეფების, ლანჩხუთის რაიგანყოფილების თანამშრომლების გამოჩენას.



ხშირია შეფების სტუმრობა და შეხვედრები სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებთან, მხოლოდ ურთიერთდახმარებით ხდება მრავალი პრობლემის გადაჭრა. ყოველი ახეთი შეხვედრა, ბავშვებისათვის ცხოვრების ახალი გაკვეთილია, შეძენილი ცოდნა და დაუვიწყარი დღეა.

მოამზადა: ს. ალავიძე.

# ШАХМАТНЫЙ КЛУБ «ЛАДЬЯ»

ВЫПУСК № 9

КУБОК МИРА по шахматам — новое ответственное соревнование, в котором принимают участие ведущие гроссмейстеры мира. Состязания проводятся в несколько этапов. Недавно в Брюсселе завершился первый этап розыгрыша Кубка мира — один из шести гроссмейстерских турниров, которые пройдут в течение двух лет.

На старт вышли 18 участников, но после 4-х туров один из них—Р. Ваганян покинул турнир, чтобы проводить в последний путь своего брата. Впервые при столь значительном числе соискателей заветного приза турнир имел 15-ю категорию по классификации ФИДЕ (средний рейтинг — 2613).

Начальный отрезок дистанции уверенно провел английский гроссмейстер Д. Спилмен, набравший 5 очков в первых семи турах. Но затем последовало два поражения, и лидерство перешло к Белявскому, успевшему выиграть к этому времени четыре партии, в том числе, у А. Карпова и М. Таля. Будущий победитель — А. Карпов резко прибавил в игре, начиная с шестого тура, и, выйдя вперед, уверенно финишировал. При этом Карпов показал очень высокий результат — 11 очков из 16 возможных — семь побед, восемь ничьих и одно поражение.

В турнирах Кубка мира — двойная бухгалтерия. Дело в том, что замкнувший турнирную таблицу Л. Винантс, играл как «хозяин поля» вне конкурса, и результаты игр с ним не шли в зачет соревнований. Кубковые же очки слагаются из набранных в турнире, плюс очки за место от 16 до первого.

Таким образом, первый этап Кубка мира дал следующие итоги: 1. **А. Карпов**—26 (10—16); 2—3. **В. Салов, А. Любоевич** — по 23,5; 4—6. **А. Белявский, У. Андерсон, Д. Нанн** — по 20,5; 7. **Л. Портиш** — 18. 8. **Д. Спилмен**—16,5; 9—10. **А. Соколов, М. Таль** — по 14,5; 11—13. **Николич, Я. Сейраван, Я. Тимман** — по 11,5; 14—15. **Х. Ногейрас, Д. Сакс** — по 8,5; **В. Корчной** — 6,5.

Кубок мира — первое в истории шахмат соревнование подобного уровня, вызвавшее огромный интерес специалистов и болельщиков. «Я думаю, что этот турнир представляет собой большой прогресс для шахмат», — сказал 28-летний шахматист из США Я. Сейраван. А вот мнения известных советских гроссмейстеров — Михаил Таль: «Важно, что это происходит, но я не знаю, можно ли это считать переменой. Может быть это будет развиваться тем же путем, который другие проложили для нас». Михаил Ботвинник: «Это знаменательное событие для шахмат. В прошлом у нас бывали сильные соревнования, но серия игр на Кубок мира будет одним из самых сильных турниров за все время проведения подобных состязаний».

В играх на Кубок мира участвуют двадцать пять сильнейших гроссмейстеров. Каждый участник выступает в четырех турнирах, но при подведении общего итога принимаются в расчет три лучших результата. Призы получат все участники турнира.

Итак, международная ассоциация гроссмейстеров, созданная по инициативе чемпиона мира, учредила четко регламентированную систему проведения турниров, каждый из которых имеет высокую — 15-ю категорию с большим призовым фондом. Второй этап Кубка мира проходит в настоящее время во французском городе Бельфоре.

Подготовил майор милиции
М. Миминошвили.

# ჟურნალისტები იცინიან...

### ქართული იუმორის მამა

ჟურნალისტთა წრეში ცხარე კამათი გაიმართა ერთი იუმორისტის შემოქმედებაზე. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. ერთმა არც აცივა, არც აცხელა და კატეგორიულად განაცხადა:

— ნამდვილად ქართული იუმორის მამა არისო.

— ეს რა მოჩმახეო? — აღშფოთდნენ თანამოკალმეები.

— ქართულ იუმორს ხომ დედა უტირა, მამაა, მაშ რა არისო! — იყო პასუხი.

### ყველგან იყოს ჰინდენბურგი

ეს დიდ ხნის ამბავია. მაშინ გაზეთ „კომუნისტს“ ცნობილი პარტიული მოღვაწე და ჟურნალისტი ნიკო კიკნაძე რედაქტორობდა. ერთხელ იგი სტამბაში გაზეთის ახლად შეკრულ გვერდებს ათვალიერებდა. უცებ შენიშნა, რომ უცხოეთის ინფორმაციაში ჰინდენბურგის ნაცვლად შეცდომით გინდენბურგი ეწერა. გაასწორა ერთგან, გაასწორა მეორე წინადადებაშიც. მაგრამ ნახა, რომ გასწორება ბევრგან იყო საჭირო და ამიტომ ინფორმაციას თავზე მოკლედ წააწერა: ყველგან იყოს ჰინდენბურგი!

მეორე დღეს ნიკო კიკნაძე საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, როცა ნახა მისი ჩასწორებები უცვლელად დაეტოვებინათ, ინფორმაციის სათაურად კი მსხვილი შრიფტით აეწყოთ: „ყველგან იყოს ჰინდენბურგი!“.

ვ. შავგულიძე
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064, გოგოლის ქ. №23, ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29. უე 00257